



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

27 აპრილი 2023 წელი

N 20/36

ეგზ.: N 1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2020-2021
წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	7
	1. შესავალი	10
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	10
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	10
	აუდიტის საგანი	10
	აუდიტის მასშტაბი	10
	აუდიტის კრიტერიუმები	10
	აუდიტის მიზანი	12
	აუდიტის მეთოდოლოგია	12
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	12
	2. აუდიტის მიგნებები	13
დანართები	დანართები	42
	საკონტაქტო ინფორმაცია	46

ტერმინები და შემოკლებები

- ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- მერია – ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია.
- მუნიციპალიტეტი – ლენტეხის მუნიციპალიტეტი.
- საკრებულო – ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
- შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ბიუჯეტის შესრულება

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

შესყიდვების მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, მათ შორის, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება. აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 33%¹ და 41%² დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.³

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 2,841.5 ათასი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, სამუშაოების ნაწილზე არ არის მიღწეული დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

გამოყენებული/დაუსრულებელი პროექტები

მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების, ასევე შეძენილი აქტივების განკარგვის მხრივ, მიმდინარეობს ხარვეზებით. მერიამ ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა, არაეფექტიანად დახარჯა 81.3 ათასი ლარი და პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს ვერ მიაღწია.

პრეტენდენტის არასწორი დისკვალიფიკაცია

მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ შესყიდვების განხორციელების პროცესში ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. პრეტენდენტის არასაკმარისად დასაბუთებული დისკვალიფიკაციის შედეგად მუნიციპალიტეტმა დაკარგა 8.5 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

აფიდავიტის პირობის დარღვევა

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები იყვნენ ურთიერთდაკავშირებული პირები⁴ და სავარაუდოდ მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით. სატენდერო კომისიას არ უმსჯელია და ვერ გამოავლინა აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევა და არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

გამარტივებულ წესით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ხარვეზები

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს ზედმეტად აუნაზღაურა 12.9 ათასი ლარი.

დაურიცხავი და ამოუღებელი ჯარიმები

ხელშეკრულების ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული საჯარიმო თანხების ადმინისტრირების პროცესში მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ

¹ 2,091.2 ათასი ლარი.

² 4,145.6 ათასი ლარი.

³ 2020 წელს - 406.9 ათასი ლარი, 2021 წელს - 603.4 ათასი ლარი.

⁴ რეგისტრირებულნი არიან ერთსა და იმავე მისამართზე.

მუნიციპალური სერვისების მიწოდება

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

დაიცვა საკუთარი ინტერესები. მერიამ მიმწოდებლებს არ დაარიცხა საჯარიმო თანხა 70.8 ათასი ლარი, ასევე ვერ უზრუნველყო 83.2 ათასი ლარის დარიცხული პირგასამტეხლოს მიღება.

მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები: მოსახლეობის წყალმომარაგებაზე ფუნქციურად პასუხისმგებელი არ არის არც ერთი სამსახური. მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით; მიწოდებული წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება.

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მთავრობის დადგენილებით⁵ რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები მუნიციპალიტეტში სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

პოლიტიკური თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურება

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად 2020 წლის იანვარში საკრებულოსა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებს⁶ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ზედმეტად აუნაზღაურდათ ჯამში – 3.1 ათასი ლარი.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობის ზღვრის დარღვევა

მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების პრინციპი არ შეესაბამება საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებას. შრომითი ხელშეკრულებით ერთდროულად დაქირავებულთა რაოდენობა 2020-2021 წლებში მინიმუმ 18 ერთეულით აღემატებოდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ოდენობას.

საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯი

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად 58.5 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად.

საინფორმაციო მომსახურების შესყიდვის ხარვეზები

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა 40.2 ათასი ლარი დახარჯა საინფორმაციო - სარეკლამო სახის მომსახურების შესასყიდად. მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ დაასაბუთა კონკრეტული საინფორმაციო პროგრამების შესყიდვის საჭიროება, ასევე დახარჯული ფულადი რესურსისა და მიღებული შედეგის ადეკვატურობა.

⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5.

⁶ საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს კომისიის/ფრაქციის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, მერი, მერის მოადგილეები.

მუნიციპალური ქონების მართვა

ქონების განკარგვაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ დაიცვა საკუთარი კანონიერი ინტერესები და ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები 19.6 ათასი ლარის სრულად და დროულად მობილიზება.

იურიდიული პირების მართვა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის ხარვეზები

დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდებოდა ხარვეზებით. კერძოდ, არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება: სათანადოდ არ არის დასაბუთებული მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებები იურიდიული პირების შექმნისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრასთან დაკავშირებით; დასაქმებულებს არ აქვთ სათანადო ფუნქციური დატვირთვა და მათი რაოდენობა არ არის ოპტიმიზებული.

მმართველობითი გადაწყვეტილებები

საბიუჯეტო რესურსების დაუგეგმავი ხარჯვა

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის გადასახდელებში ხარჯების ჯამურმა მაჩვენებელმა, შესაბამისად, 15%-ით და 23%-ით გადააჭარბა გეგმით განსაზღვრულ პარამეტრებს. მერია გადახდის ვალდებულებებს იღებდა და თანხებს სისტემატურად ხარჯავდა დამტკიცებული/დაზუსტებული ბიუჯეტების პარამეტრების შეუსაბამოდ.

ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ხარვეზები

მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესი მიმდინარეობდა ნაკლოვანებებით: ხარვეზები გამოვლინდა პრიორიტეტების დოკუმენტის ფორმირების, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების შედგენის, საკრებულოში დროულად წარდგენისა და სახაზინო მონაცემებთან თანხვედრის მიმართულებებით.

დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსება საკუთარი შემოსავლებიდან

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ფარგლებში, რამაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი 67.3 ათასი ლარის ხარჯი გამოიწვია.

შესყიდვების გეგმის ხარვეზები

შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებამდე მუნიციპალიტეტს არ დაუკორექტირებია შესყიდვების წლიურ გეგმაში მითითებული მონაცემები, რის გამოც 2020 წელს 3,928.0 ათასი ლარით, ხოლო 2021 წელს – 2,402.0 ათასი ლარით გადააჭარბა შესყიდვების წლიური გეგმით დამტკიცებულ პარამეტრებს.

ასევე: შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში 130 შემთხვევაში არასწორად იყო მითითებული ინფორმაცია ხელშეკრულებების მიმდინარეობის შესახებ.

ა(ა)იპ - საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დაფინანსების ხარვეზები

წითელი ჯვრის საზოგადოებასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა დახარჯა 35.0 ათასი ლარი. მერია პრაქტიკულად არ ატარებდა მემორანდუმით გათვალისწინებულ მონიტორინგს პროგრამით დაგეგმილი ამოცანების შესრულებასა და დახარჯული თანხების მიზნობრიობაზე. შესაბამისად, არ არის შესწავლილი გაწეული ხარჯის

ეფექტიანობა და ღონისძიებების შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან.

საკონსულტაციო მომსახურების დაუსაბუთებელი შესყიდვა

მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა თუ რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული მემორანდუმის ფორმით 10.0 ათასი ლარის საფინანსო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. მერია ვალდებული იყო პირველ რიგში გამოეყენებინა საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო მოხელეების პროფესიული განვითარების საჭიროებისას, მომსახურება შეესყიდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზები

მერია ვერ უზრუნველყოფდა საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადოდ მობილიზებას. შედეგად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა ვერ მიიღო კუთვნილი შემოსავალი.

ჩატარებული ინვენტარიზაცია

მუნიციპალიტეტში კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარვეზები

შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუსწავლია ორგანიზაციაში არსებული პროცესები და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოუვლენია სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები. შიდა აუდიტის სამსახურმა ვერ უზრუნველყო მერიის საქმიანობის გაუმჯობესება, ფინანსების რაციონალური მართვისა და ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1: მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია და ბიუჯეტის განწერისას დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია №2: მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

რეკომენდაცია №3: მერიამ შეიმუშაოს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სტრატეგია/წესი, რომლის ფარგლებში სამუშაოებს დაგეგმავს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას. მათ შორის, შეისწავლოს პროექტის პრიორიტეტულობა, შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას.

რეკომენდაცია №4: მერიამ შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები პრეტენდენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამოსავლენად, ასევე შეისწავლოს დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის და/ან ხელშეკრულების გაფორმებისგან თავის არიდების შემთხვევები და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდვების პროცესის კონკურენტულ გარემოში წარმართვასა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №5: მერიამ შეიმუშაოს წესი ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების შესახებ. დოკუმენტით დეტალურად უნდა განისაზღვროს ჯარიმების გაანგარიშების, დარიცხვისა და ბიუჯეტში მობილიზების თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები, შემსრულებლები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები; არ დაუშვას არაკეთილსინდისიერ მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება და საბოლოო ანგარიშსწორება განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების შესრულების შემთხვევაში. ასევე, განახორციელოს სათანადო ქმედებები დარიცხული საჯარიმო თანხების ბიუჯეტში მობილიზების მიზნით. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ხელშეკრულების პირობების დარღვევის პრევენციას, მიმწოდებლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებასა და გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს.

რეკომენდაცია №6: მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით, მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №7: მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განსახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს, გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

რეკომენდაცია №8: საკრებულომ მერიასთან შეთანხმებით შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა და განისაზღვრება საწვავის ხარჯვის კონტროლის მექანიზმები; საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის ჩიპების (მეხსიერების ბარათის) მთლიანობის შემოწმება; სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

რეკომენდაცია №9: მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა დაარეგულირონ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრებში. ამასთანავე, დაქირავებული შრომა გამოიყენონ მხოლოდ საჯარო მოხელეებისაგან განსხვავებული ფუნქცია-მოვალეობების ან დროებითი ამოცანების შესასრულებლად, რაც სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ოპტიმალურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №10: მერიამ საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი და ეკონომიური განკარგვის პრინციპებს. სტრატეგიის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში მერიამ შეაფასოს სუბიექტების საქმიანობის მიმართულებები და სარგებლიანობა; ასევე

შეისწავლოს ორგანიზაციებში არსებული საკადრო პოლიტიკა, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრისა და რეალური საჭიროების მხრივ და უზრუნველყოს დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს იურიდიული პირების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №11: მერიამ და საკრებულომ კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში დაგეგმონ საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების კომპლექსური ღონისძიებები და ამ მიზნით მიმართონ შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1%. აღნიშნული ხელს შეუწყობს თვითმმართველობის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ხარისხიანად შესრულებას.

რეკომენდაცია №12: მერიამ საკრებულოსთან ერთად იმსჯელოს გადამხდელთა ბაზის ფორმირებისა და დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმილი მაჩვენებლის მობილიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე, მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც უზრუნველყოფს მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებლის გაზრდას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და კუთვნილი შემოსავლების მიღებას.

რეკომენდაცია №13: მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

რეკომენდაცია №14: მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარად წარმართვა, რომ განხორციელდეს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლა და შეფასება, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენა. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:⁷

⁷ 2020-2021 წლებში მოქმედი რედაქციით.

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შრომის ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ“;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №28 დადგენილება „2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის №17 დადგენილება „2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ლენტეხის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 8 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს 60 სოფელსა და ადმინისტრაციულ ცენტრს – დაბა ლენტეხს.⁸ მუნიციპალიტეტის ფართობია 1344 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 4.0 ათას კაცს.⁹ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები – 4,638.1 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის განვითარება – 12,783.4 ათასი ლარი; განათლება – 773.1 ათასი ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი – 1,897.1 ათასი ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 532.8 ათასი ლარი.

⁸ ინფორმაციის წყარო: www.mreg.reestri.gov.ge.

⁹ ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge - 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

2.1.1 ბიუჯეტის შესრულების ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.¹⁰ მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.¹¹

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2020-2021 წლების შემოსულობებმა 22,199.9 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 20,756.5 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2020-2021 წლებში (ათასი ლარი)¹²

დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	შესრულების %	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულების %	სულ ფაქტი
შემოსულობები	10,664.1	10,160.8	95%	13,159.6	12,039.1	91%	22,199.9
შემოსავლები	10,658.1	10,154.8	95%	13,159.6	12,038.2	91%	22,193.0
არაფინანსური აქტივების კლება	-	-	-	-	0.9	-	0.9
ფინანსური აქტივების კლება	6.0	6.0	100%	-	-	-	6.0
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	10,664.1	9,101.1	85%	14,799.1	11,655.4	79%	20,756.5
ხარჯები	4,317.8	4,946.3	115%	4,681.6	5,744.7	123%	10,691.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,246.0	4,154.8	67%	10,056.3	5,910.7	59%	10,065.5
ვალდებულებების კლება	100.3	-	0%	61.2	-	0%	-
ნაშთის ცვლილება	-	1,059.7		-1,639.5	383.8		

ორივე საბიუჯეტო წლისათვის მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა ბიუჯეტის „გადასახდელების“ მუხლი. კერძოდ, მერიამ წლის ბოლომდე ძირითადად ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სანიაღვრე არხებისა და ჯებირების, სპორტული მოედნების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო დაგეგმვისა და შესრულების გამო, მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე

¹⁰ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

¹¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

¹² საბიუჯეტო პროცესის ხარვეზები განხილულია ანგარიშის შესაბამის თავში.

ნაშთის სახით ერიცხებოდა 579.8 ათასი ლარი, მათ შორის, 269.6 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთი. 2020 წელს მუნიციპალიტეტის ნაშთის გამოყენება არ დაუგეგმავს, თუმცა დააგროვა 1,059.7 ათასი ლარი. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 1,639.5 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 406.9 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია. 2021 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 1,639.5 ათასი ლარის ათვისება, თუმცა ფულადი სახსრების დაგროვებამ 383.8 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 2,023.3 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 603.4 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტების/ვალდებულებების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია და ბიუჯეტის განწერისას დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

2.2 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

2.2.1 დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით. სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა 129 ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, ღირებულებით – 13,817.4 ათასი ლარი.¹³

მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა სამუშაოს მიმღები კომისია.¹⁴ ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის¹⁵ მიერ გაცემული დასკვნების საფუძველზე, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა დადებითი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. შედეგად, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას.

¹³ 10.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების პროექტები, ასევე 2019 წლიდან გადმოსული ინფრასტრუქტურული პროექტები.

¹⁴ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 აპრილის ბრძანება №107, 2020 წლის ბრძანება №178.

¹⁵ 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების პროექტების შემთხვევაში, სამუშაოებს ამოწმებდა შპს „ზაისი და კომპანია“.

კერძოდ, აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად¹⁶ დაათვალიერა ინფრასტრუქტურული პროექტები. გამოვლინდა, რომ სამუშაოების ნაწილს აღენიშნებოდა ხარვეზები. მაგალითად, 2021 წელს მუნიციპალიტეტმა 102.9 ათასი ლარად¹⁷ შეისყიდა სოფელ ჩიხარემის სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ინფრასტრუქტურაც დაზიანებულია.¹⁸

გარდა ამისა, ხარვეზები გამოვლინდა 20 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 2,738.6 ათასი ლარია. კერძოდ, დაზიანებულია საბავშვო ბაღები, სკოლები, საგზაო და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები (იხ. დანართი №1).

ობიექტების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, ძირითადად აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომლის გამოვლენის ვალდებულება საექსპერტო დაწესებულებასა და მიმღებ კომისიას ეკისრებოდა. დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს მათი პასუხისმგებლობის შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

აღსანიშნავია, რომ დათვალიერების მომენტისათვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა. მერიის შესაბამის სამსახურს არ ჩაუტარებია ობიექტების მონიტორინგი, რაც საშუალებას მისცემდა დროულად გამოეკვლია დაზიანების მიზეზები და მოეთხოვა მათი გამოსწორება. შესაბამისად, მერიამ არ გამოიყენა ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლება და არ უზრუნველყო არსებული დაზიანებები მიმწოდებელი ორგანიზაციების სახსრებით აღმოფხვრა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. შედეგად, მერიამ ჩაიბარა 2,841.5 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ექსპლოატაციაში მიღებიდან მოკლე დროში დაზიანდა და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, არ გამოავლინა მათზე პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №2

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

¹⁶ 2022 წლის 26, 27, 28 სექტემბერი.

¹⁷ NAT210013599, ხელშეკრულება №188.

¹⁸ სკოლის კედლები და იატაკი დაზიანებულია.

2.2.2 გამოუყენებელი /დაუსრულებელი პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას.¹⁹ მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.²⁰

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულებისა და ფუნქციონირების, ასევე შეძენილი აქტივების განკარგვის მხრივ, მიმდინარეობს ხარვეზებით. მერიამ რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა და არსებული რესურსის ეფექტიანი გამოყენება, მაგალითად:

- 2020 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ თეკალსა და შკედში ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები,²¹ ღირებულებით – 49.4 ათასი ლარი. ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, მიმწოდებელზე გადარიცხულია ავანსი – 9.9 ათასი ლარი, რომელიც შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან გამოიქვითებოდა პროპორციულად. მიწოდების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 15 აგვისტო. ამ პერიოდისათვის მიმწოდებელმა შეასრულა და მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 41.3 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო, ხოლო ავანსიდან გაიქვითა 8.3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მხრიდან გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელმა არ განაგრძო სამუშაოები. შესაბამისად, ხელშეკრულება შეწყდა 2021 წლის 12 თებერვალს. მიმწოდებელს დაერიცხა პირგასამტეხლო, თანხით – 2.5 ათასი ლარი, თუმცა გადახდილი არ არის. ასევე წინასწარ გადახდილი ავანსი, თანხით – 1.6 ათასი ლარი, არ არის დაბრუნებული. მუნიციპალიტეტს ობიექტების დასასრულებლად, ავანსის ან/და საჯარიმო სანქციის მისაღებად შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია.
- მერიამ 2021 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის შეიძინა 185.1 ათასი ლარის ღირებულების მასალა.²² შესყიდული მასალა გადაეცა მოსახლეობას საცხოვრებელი სახლების გადახურვის მიზნით. მუნიციპალიტეტმა სამშენებლო მასალის განკარგვა გადაწყვიტა ისე, რომ არ გაითვალისწინა მოსახლეობის ცოდნა-გამოცდილება და ფინანსური შესაძლებლობა მასალის გამოყენებასთან დაკავშირებით. შედეგად, გადაცემული მასალების ნაწილი, თანხით – 40.0 ათასი ლარი, დასაწყობებულია და მოსახლეობას დანიშნულებისამებრ არ გამოუყენებია.

დასკვნა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და აქტივების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად, მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა 81.3 ათასი ლარი და ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს; ასევე არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები ავანსის და საჯარიმო თანხის – 4.1 ათასი ლარის მისაღებად.

რეკომენდაცია №3

მერიამ შეიმუშაოს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სტრატეგია/წესი, რომლის ფარგლებში სამუშაოებს დაგეგმავს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის

¹⁹ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 19.

²⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

²¹ NAT200006323.

²² 2021 წლის ხელშეკრულება №206- შპს „საგზაო 333“.

წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას. მათ შორის, შეისწავლოს პროექტის პრიორიტეტულობა, შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას.

2.3 შესყიდვების მართვა

2.3.1 პრეტენდენტის არასწორი დისკვალიფიკაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სატენდერო კომისია მიმწოდებლების შერჩევა-შეფასების პროცესში მსჯელობს, რამდენად შეესაბამება პრეტენდენტების მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო მოთხოვნებს.²³ თუ ტექნიკური დოკუმენტაცია საჭიროებს დაზუსტებას, სატენდერო კომისია ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ.²⁴

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, რაციონალურად და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.²⁵

ფაქტობრივი გარემოება: 2020 წელს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოსაწყობად, სავარაუდო ღირებულებით – 183.2 ათასი ლარი.²⁶ დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს²⁷ სატენდერო კომისიამ მოსთხოვა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება. დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ კომისიამ პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია მისცა იმ მოტივით, რომ დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა შეიცავდა სხვა ხარვეზებს. შედეგად, ხელშეკრულება გაფორმდა მომდევნო პრეტენდენტთან, რითაც შესყიდვის ღირებულება 8.5 ათასი ლარით გაიზარდა.

სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ ტექნიკური ხასიათის ხარვეზები პრეტენდენტს დაშვებული ჰქონდა თავდაპირველად ატვირთულ ხარჯთაღრიცხვაშიც. შესაბამისად, კომისია ვალდებული იყო, მაგრამ დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს ზუსტად არ მიუთითა დასაზუსტებელი პოზიციების შესახებ.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ შესყიდვების განხორციელების პროცესში ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. პრეტენდენტის არასაკმარისად დასაბუთებული დისკვალიფიკაციის შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა 8.5 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

2.3.2 აფიდავიტის პირობების დარღვევა

კრიტერიუმი: შესყიდვის კანონმდებლობის თანახმად, აფიდავიტი სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტია, რომლის ხელმოწერი პრეტენდენტის სახელით ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას.²⁸ აფიდავიტის მოთხოვნები გულისხმობს, რომ მატერიალური გამორჩენის, ან

²³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-4 და 27-ე მუხლები.

²⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 27, პუნქტი 5.

²⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი.

²⁶ NAT200015535.

²⁷ შპს „სტარტ“ - 172.0 ათასი ლარი.

²⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტი.

უპირატესობის მიღების მიზნით, პრეტენდენტს ეკრძალება კონკურენტთან აწარმოოს კონსულტაცია, კომუნიკაცია ან მოლაპარაკება სატენდერო წინადადების ფასთან, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობების დეტალებთან დაკავშირებით. პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.²⁹

ფაქტობრივი გარემოება: 2020 წელს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი სოფელ ხელედის საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაციისათვის, სავარაუდო ღირებულებით – 22.6 ათასი ლარი.³⁰ ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. სატენდერო კომისიამ ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენს (19.4 ათასი ლარი) მოსთხოვა სატენდერო დოკუმენტაციის (გეგმა-გრაფიკის) დაზუსტება. პრეტენდენტმა არ დააზუსტა ტექნიკური დოკუმენტაცია,³¹ რის გამოც მიიღო დისკვალიფიკაცია. შედეგად, მომდევნო დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტი³² გამოცხადდა გამარჯვებულად და გაუფორმდა ხელშეკრულება თანხით – 21.7 ათასი ლარი. საკითხის შესწავლით გამოვლინდა, რომ პრეტენდენტები იყვნენ ურთიერთდაკავშირებული პირები³³ და სავარაუდოდ, მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით.

დასკვნა

სატენდერო კომისიამ არ იმსჯელა აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შესახებ. შესაბამისად, ვერ გამოავლინა პრეტენდენტების ურთიერთკავშირი და არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №4

მერიამ შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები პრეტენდენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამოსავლენად, ასევე შეისწავლოს დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის და/ან ხელშეკრულების გაფორმებისგან თავის არიდების შემთხვევები და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდვების პროცესის კონკურენტულ გარემოში წარმართვასა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

2.3.3 დაურიცხავი და ამოუღებელი ჯარიმები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.³⁴

მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის. პირგასამტეხლოს გადახდა, ისევე როგორც ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება, მხარეებისათვის სავალდებულოა.

სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია შემდეგი გარემოების არსებობა: მიმწოდებელმა

²⁹ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მუხლი 32, პუნქტი 1, „ზ“ ქვეპუნქტი. დანართი №1.

³⁰ NAT200012208.

³¹ ი/მ ზაქრო მეშველიანი -19.4 ათასი ლარი.

³² ი/მ ზურაბ მეშველიანი -21.7 ათასი ლარი.

³³ რეგისტრირებულნი არიან ერთსა და იმავე მისამართზე.

³⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით დაუყოვნებლივ მიმართოს სააგენტოს წერილობითი შეტყობინებით, თუ წარმოიშობა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძველი.³⁵

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საქმიანობა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების დარიცხვისა და ადმინისტრირების მხრივ ხასიათდება მნიშვნელოვანი ხარვეზებით. საჯარიმო სანქციების გავრცელება მნიშვნელოვნად განაპირობებს მიწოდების ვადების დარღვევის პრევენციას, ხელს უწყობს მიმწოდებლების თანაბარ პირობებში ჩაყენებას და ბიუჯეტის დამატებითი შემოსავალია, რაც მუნიციპალიტეტმა არ გაითვალისწინა. კერძოდ, ხელშეკრულებების შესრულების დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა შემდეგი:

- 2020-2021 წლებში 10 ხელშეკრულების ფარგლებში მერიამ მიმწოდებლები ვადის დარღვევისათვის არ დააჯარიმა და არ დაარიცხა პირგასამტეხლო, თანხით – 35.9 ათასი ლარი;³⁶
- 8 ხელშეკრულების³⁷ შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს არასრულად დაარიცხა საჯარიმო სანქცია. კერძოდ, 79.1 ათასი ლარის ნაცვლად, მიმწოდებლებზე დარიცხულია 44.2 ათასი ლარი.³⁸

მერია შესრულებულ სამუშაოებზე საბოლოო ანგარიშსწორებას ახორციელებდა ისე, რომ მიმწოდებლებს ყველა სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულებული არ ჰქონდათ. მიმწოდებლები, როგორც წესი, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ჯარიმებს არ იხდიდნენ. შედეგად, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მიმწოდებლებზე დარიცხული და მიუღებელი პირგასამტეხლოს თანხა შეადგენდა 83.2 ათას ლარს.³⁹ ჯარიმის გადაუხდელობის, ანუ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო გაეტარებინა სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები. მათ შორის, მიემართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის, რომ შავ სიაში დაერეგისტრირებინა არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლები. მერიას აღნიშნული ვალდებულება არ შეუსრულებია. შესაბამისად, მიმწოდებლებს ეძლეოდათ საშუალება, რომ მონაწილეობა მიეღოთ და გაემარჯვათ სხვა ტენდერებშიც ისე, რომ შეუსრულებელი ჰქონდათ წინა შესყიდვების ვალდებულებები. მაგალითად, შპს „ავტოგზა ლენტეხი 99-ს“ 2020 წელს დაეკისრა პირგასამტეხლო – 27.6 ათასი ლარი. შპს-მ ჯარიმა გადაიხადა ნაწილობრივ 10.7 ათასი ლარი. მიუხედავად ამისა, მერიას არ უმსჯელია მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების

³⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 19 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“, მუხლი 3, პუნქტი 4, „ბ“ ქვეპუნქტი; მუხლი 4, პუნქტი 1.

³⁶ NAT200001942 - 2.5 ათასი ლარი; NAT200002038 - 7.1 ათასი ლარი; NAT200002529 - 3.4 ათასი ლარი; NAT200005064 - 17.7 ათასი ლარი; NAT200007373 - 0.4 ათასი ლარი; NAT200013974 - 1.9 ათასი ლარი; NAT200013363 - 0.2 ათასი ლარი; NAT200013102 - 0.6 ათასი ლარი; NAT200003721 - 1.3 ათასი ლარი; NAT200003521 - 0.8 ათასი ლარი.

³⁷ CMR200103126; NAT200003553; NAT200005222; NAT200006301; NAT200015535; NAT200019166; NAT200006323; NAT210013029.

³⁸ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლები დააჯარიმა ვადაგადაცილებული დღეების ნაკლებ რაოდენობაზე.

³⁹ 2019 წლის ხელშეკრულებები: №127 - 17.8 ათასი ლარი; №148 - 13.5 ათასი ლარი. 2020 წლის ხელშეკრულებები: №59 - 2.5 ათასი ლარი; №69 - 27.6 ათასი ლარი. 2021 წლის ხელშეკრულებები: №4 - 0.9 ათასი ლარი; №76 - 0.5 ათასი ლარი; №101 - 0.5 ათასი ლარი; №134 - 15.3 ათასი ლარი; №157 - 0.7 ათასი ლარი; №188 - 3.9 ათასი ლარი.

დასკვნა

შესახებ. 2021 წელს საწარმოსთან გააფორმა 6 ხელშეკრულება და სრულად აუნაზღაურა სამუშაოების ღირებულება 683.9 ათასი ლარის ოდენობით.⁴⁰

რეკომენდაცია №5

ხელშეკრულების ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული საჯარიმო თანხების ადმინისტრირების პროცესში მერიამ სათანადოდ არ დაიცვა საკუთარი ინტერესები. მიმწოდებლებს არ დაარიცხა საჯარიმო სანქცია, თანხით – 70.8 ათასი ლარი. ასევე: დავალიანების მქონე მიმწოდებლების მიმართ არ განახორციელა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება და შედეგად, ვერ უზრუნველყო დარიცხული პირგასამტეხლოს, 83.2 ათასი ლარის მიღება.

მერიამ შეიმუშაოს წესი ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების შესახებ. დოკუმენტით დეტალურად უნდა განისაზღვროს ჯარიმების გაანგარიშების, დარიცხვისა და ბიუჯეტში მობილიზების თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები, შემსრულებლები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები; არ დაუშვას არაკეთილსინდისიერ მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება და საბოლოო ანგარიშსწორება განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების შესრულების შემთხვევაში; ასევე განახორციელოს სათანადო ქმედებები დარიცხული საჯარიმო თანხების ბიუჯეტში მობილიზების მიზნით. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ხელშეკრულების პირობების დარღვევის პრევენციას, მიმწოდებლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას და გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს.

2.3.4 გამარტივებული წესით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ხარვეზები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების შესაბამისად,⁴¹ 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს შემდეგი წესით: შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.⁴²

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 9 ხელშეკრულების ფარგლებში⁴³ შეისყიდა სამშენებლო სამუშაოები, საერთო ღირებულებით – 638.8 ათასი ლარი.⁴⁴ გამარტივებული შესყიდვის დროს, სამუშაოს/საქონლის/მომსახურების მიწოდების ფასი დგინდება არაკონკურენტულ გარემოში, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შესაბამისად, შესყიდვა შესაძლოა განხორციელდეს არასაბაზრო ფასად. სწორედ ამ რისკებიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით

⁴⁰ NAT210008831; NAT210010735; NAT210011124; NAT210013021; CMR210099926; CMR210099925.

⁴¹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“.

⁴² 2019 წლის 27 თებერვლიდან რეგულაცია ვრცელდება გამარტივებული წესით შესყიდულ ისეთ სამუშაოებზე, რომელთა ღირებულებაც აღემატება 40.0 ათას ლარს.

⁴³ 40.0 ათას ლარზე მაღალი ღირებულების პროექტები.

⁴⁴ CMR210087178, CMR210099928, CMR210099927, CMR210099926, CMR210099925, CMR210099924, CMR210107745, CMR200102477, CMR200121821.

გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა მუნიციპალიტეტის მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის პროცესი. გამოვლინდა, რომ მერიას ამ მიზნით რაიმე წესი/მეთოდი შემუშავებული არ აქვს. შესაბამისად, არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა, რომელიც პროცესს სანდოს და კონტროლირებადს გახდის. 2020 წელს 2 ხელშეკრულების ფარგლებში, მუნიციპალიტეტმა მოითხოვა საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა, თუმცა დასკვნები არ შეიცავს ინფორმაციას ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის შესახებ. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2021 წელს 7 ხელშეკრულების ფარგლებში თანხების ანაზღაურებისას ფაქტობრივ დანახარჯებს თავად ითვლიდნენ.

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება, შესრულებული სამუშაოების ღირებულება იყო თუ არა გაანგარიშებული მთავრობის დადგენილების შესაბამისად და მუნიციპალიტეტს მოსთხოვა მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ 4 ხელშეკრულების⁴⁵ ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ზედმეტად ანაზღაურდა 12.9 ათასი ლარი.

დასკვნა

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა არ დაიცვა კანონმდებლობის მოთხოვნა ფაქტობრივი დანახარჯებით ანგარიშსწორების შესახებ, რის გამოც მიმწოდებლებზე საბიუჯეტო სახსრები ზედმეტად არის ანაზღაურებული.

რეკომენდაცია №6

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით, მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენილობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

2.4 მუნიციპალური სერვისების მიწოდება 2.4.1 მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია: წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით.⁴⁶ კანონმდებლობის მიხედვით, სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო, უვნებელი და აკმაყოფილებდეს ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს. სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი.⁴⁷

⁴⁵ CMR210087178 - 5.8 ათასი ლარი, CMR210099928 - 0.8 ათასი ლარი, CMR210099924 - 2.9 ათასი ლარი, CMR210107745 - 3.4 ათასი ლარი.

⁴⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

⁴⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის 61 დასახლებული პუნქტიდან,⁴⁸ დაბა ლენტეხსა და ორ სოფელში⁴⁹ მოწყობილია წყლის სისტემები და მოსახლეობისთვის წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული პრიორიტეტების დოკუმენტები ითვალისწინებს სასმელი წყლის სისტემების დაფინანსებას.⁵⁰ შესაბამისად, მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემების მოგვარება მუნიციპალიტეტმა მიიჩნია პრიორიტეტად. 2020-2021 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე დაიგეგმა 1,664.9 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება,⁵¹ ფაქტობრივად გაწეულია 1,452.1 ათასი ლარის ხარჯი (87%).

წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები არასაკმარისია და ვერ აკმაყოფილებს სასმელ წყალზე მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ყოველდღიურ მოთხოვნას. კერძოდ, 58 სოფლის წყალმომარაგება ფუნქციურად არ ევალუა მუნიციპალიტეტის არც ერთ სამსახურს.⁵² 49 სოფელში წყალმომარაგება ხორციელდება სათავე-ნაგებობიდან, დანარჩენი 9 სოფელი სარგებლობს წყაროებით და მოსახლეობის უმრავლესობა ზაფხულში განიცდის წყლის დეფიციტს. აღსანიშნავია, რომ 49-დან 28 სოფელში წყალი მიეწოდება მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს.

მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს სასმელი წყლის სრულ ლაბორატორიულ კვლევას. სათავე ნაგებობები/რეზერვუარები, საიდანაც მოსახლეობას წყალი მიეწოდება, არ არის აღჭურვილი წყლის გაწმენდის საშუალებებით.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები: მოსახლეობის წყალმომარაგებაზე ფუნქციურად პასუხისმგებელი არ არის არც ერთი სამსახური. მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით; მიწოდებული წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება.

რეკომენდაცია №7

მერია, საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განხორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს, გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

⁴⁸ დაბა ლენტეხი და 60 სოფელი.

⁴⁹ სოფლები: ლექსურა და ყარიში.

⁵⁰ მერის მიერ 2019 წელს მიღებული „ლენტეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2020-2023 წლებისათვის“ და 2020 წელს მიღებული „ლენტეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2021-2024 წლებისათვის“ დოკუმენტები.

⁵¹ მათ შორის, 2020 წელს - 347.9 ათასი ლარი, 2021 წელს - 1,317.0 ათასი ლარი.

⁵² წყალმომარაგების პროექტების დაგეგმვა და განხორციელება განაწილებულია ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისთვის. პრობლემები დგინდება მერის წარმომადგენლის და მოსახლეობის მომართვის საფუძველზე.

2.5 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

2.5.1 ავტოპარკის მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით,⁵³ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 5 სამორიგეო ავტომანქანა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.⁵⁴

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში საწვავის ლიმიტი დადგენილია საკრებულოს თავმჯდომარის/მერის ბრძანებების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საწვავის ლიმიტი განისაზღვროს კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, ხარჯვის ეკონომიური და რაციონალური პრინციპების გათვალისწინებით.

ფაქტობრივი გარემოება: საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტი „ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“, თვითმმართველობისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება. მიუხედავად ამისა, მერიამ ვერ წარმოადგინა რეკომენდაციის შესაბამისად მიღებული სამართლებრივი აქტი.

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა რეკომენდებულ ზღვრულ რაოდენობას. კერძოდ, ნაცვლად 5 სამორიგეო ავტომობილისა, მუნიციპალიტეტი სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 1 ავტომობილით და ასევე 42-48 საჯარო მოხელის საკუთრებაში არსებული ავტომობილებით.⁵⁵ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში გახარჯა 107 ტონაზე მეტი საწვავი, ღირებულებით – 237.3 ათასი ლარი, მათ შორის, საჯარო მოხელეების საკუთრებაში არსებულ ავტომობილებზე გახარჯულია 47.9 ტონა საწვავი.⁵⁶

მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ავტოგასამართი სადგური. შესაბამისად, საწვავი იხარჯება პლასტიკური ბარათებისა და ტალონების მეშვეობით, მათ შორის, ბარათს იყენებს მხოლოდ 7-8 საჯარო მოსამსახურე. ტალონებისა და პლასტიკური ბარათების გამოყენება ზრდის საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვის რისკს, ხოლო მუნიციპალიტეტს არ აქვს დანერგილი შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფდა არავტორიზებული ავტომანქანების საწვავით გამართვის რისკების შემცირებას, კერძოდ:

⁵³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5.

⁵⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2.

⁵⁵ 2020 წელს ლიმიტები დამტკიცებული იყო 42 საჯარო მოხელისთვის, ხოლო 2021 წელს – 48 მოხელისთვის.

⁵⁶ გარდა ამისა, საწვავი გახარჯულია შიდა სასოფლო გზების წმენდაზე, წვევამდელთა გადასაადგილებლად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საერთო კრების ჩასატარებლად და სხვადასხვა ერთჯერადი დანიშნულებით.

- საკრებულოს და მერის ბრძანებები, რომლითაც გამოიყოფა საწვავი, არ მოიცავს მითითებას სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისას გამოსაყენებელი კონკრეტული ავტომანქანების შესახებ. შედეგად, მხოლოდ 7-8 ბარათით საწვავის ხარჯვის ანალიზით გამოიკვეთა, რომ 352 შემთხვევაში 11.5 ტონა საწვავის ხარჯვა ავტომანქანების მიხედვით იდენტიფიცირებადი არ არის;
- იდენტიფიცირებადი ავტომანქანების შემთხვევაში გამოვლინდა, რომ წლის განმავლობაში თითოეული ბარათი გამოყენებულია 2-დან 41 სხვადასხვა ავტომანქანაზე. მაგალითად, 2021 წლის 7 მაისს 141 ლიტრი საწვავი ბარათით ჩასხმულია 3 სხვადასხვა ავტომანქანაში, 10:00 სთ-ზე, 10:57 სთ-სა და 18:21 სთ-ზე. ასევე: 2021 წლის 4 ივნისს 155 ლიტრი საწვავი ბარათით ჩასხმულია 2 სხვადასხვა ავტომანქანაში, 09:38 სთ-სა და 12:59 სთ-ზე;
- 2020-2021 წლებში ტალონებით გახარჯულია 72.7 ტონა საწვავი. კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, ვერ დგინდება აღნიშნული საწვავი გაიხარჯა თუ არა რაციონალურად და მხოლოდ სამსახურებრივი დანიშნულებით.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები მუნიციპალიტეტში სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

რეკომენდაცია №8

საკრებულომ მერიასთან შეთანხმებით შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგო ავტომანქანების რაოდენობა და განისაზღვრება საწვავის ხარჯვის კონტროლის მექანიზმები; საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის ჩიპების (მეხსიერების ბარათის) მთლიანობის შემოწმება; სამორიგო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

2.5.2 პოლიტიკური თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურება

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,⁵⁷ მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრულია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი.

ფაქტობრივი გარემოება. საკრებულომ 2020 წლისათვის განსაზღვრა საკრებულოსა და მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს

⁵⁷ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულება „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ“, დანართი №3.

დასკვნა

ოდენობა.⁵⁸ დადგენილებების მიხედვით, პოლიტიკური თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგო გაიზარდა შეუსაბამოდ და გადააჭარბა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ზედა ზღვარს.

2020 წლის იანვარში საკრებულოსა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებს⁵⁹ მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ ზედმეტად აუნაზღაურდათ, ჯამში – 3.1 ათასი ლარი.⁶⁰

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად, მუნიციპალიტეტში საკრებულოს და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებზე 2020 წლის იანვრის თანამდებობრივი სარგო გაიცა მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ. საჭიროა მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა გაატარონ სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში დასაბრუნებლად.

2.5.3 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობის ზღვრის დარღვევა

კრიტერიუმი: საჯარო სამსახურის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტს შეუძლია შრომითი ხელშეკრულებით დაასაქმოს პირები დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად.⁶¹

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს.⁶²

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მთლიანი საშტატო რიცხოვნობა შეადგენდა 98-99 ერთეულს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტს დამხმარე და არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შეეძლო შრომითი ხელშეკრულებით დაექირავებინა, მაქსიმუმ, 10 პირი.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით ერთდროულად დაქირავებულთა რაოდენობა სხვადასხვა თვეში იცვლებოდა 28-დან 41 მოსამსახურემდე, აღნიშნულ პირებზე შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია სულ 564.8 ათასი ლარი.

წარმოდგენილი მონაცემების შესწავლით გამოვლინდა, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების დანიშვნასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებები და/ან შრომითი ხელშეკრულებები ძირითადად არ მოიცავს დანიშნული პირების მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობებს ან/და დავალებებს. შესაბამისად, დაქირავებულთა საქმიანობის საჭიროება არ არის დასაბუთებული და მათ მიერ შესრულებული სამუშაო გაურკვეველია. დოკუმენტების მიხედვით ასევე ვერ დგინდება ხელშეკრულება დადებულია დამხმარე, თუ არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებისას დაარღვია მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული რაოდენობრივი ზღვარი. კერძოდ, შრომითი ხელშეკრულებით ერთდროულად დაქირავებულთა

⁵⁸ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №29 და №30 დადგენილებები.

⁵⁹ საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს კომისიის/ფრაქციის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, მერი, მერიის მოადგილეები.

⁶⁰ ხარვეზი საკრებულომ გაასწორა 2020 წლის 31 იანვარს განხორციელებული ცვლილებებით (№2 და №3 დადგენილებები).

⁶¹ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 3, „ვ“ პუნქტი.

⁶² საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი 29, პუნქტი 3.

დასკვნა

რაოდენობა 2020-2021 წლებში, მინიმუმ, 18 ერთეულით აღემატებოდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ოდენობას.⁶³

რეკომენდაცია №9

მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულებით დაქირავებული შრომის გამოყენების პრინციპი არ შეესაბამება საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებას. 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა დაარღვიეს შრომითი ხელშეკრულებით დაქირავებულთა ზღვრული რიცხოვნობა და სათანადოდ ვერ დაასაბუთეს დაქირავებულთა საქმიანობის საჭიროება.

მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა დაარეგულირონ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრებში. ამასთანავე, დაქირავებული შრომა გამოიყენონ მხოლოდ საჯარო მოხელეებისაგან განსხვავებული ფუნქცია-მოვალეობების ან დროებითი ამოცანების შესასრულებლად, რაც სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ოპტიმალურ ხარჯვას.

**2.5.4 საკრებულოს
წევრებზე
დაუსაბუთებლად
ანაზღაურებული ხარჯი**

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ.⁶⁴ მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.⁶⁵ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,⁶⁶ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს, ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ სულ 58.5 ათასი ლარი. ხარჯები ანაზღაურდებოდა საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული წესით, რომელიც ითვალისწინებდა ყოველთვიურად არაუმეტეს 400 ლარის გაცემას. ხარჯების ანაზღაურების პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ არათანამდებობის პირებს ყოველთვიურად მიღებული აქვთ 450 ლარი. შესაბამისად, 2020-2021 წლებში საკრებულოს დადგენილების შეუსაბამოდ, ზედმეტად ანაზღაურებულია 6.5 ათასი ლარი.

გარდა ამისა, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს, ეძლევათ არა ფიქსირებული

⁶³ ნორმად აღებულია დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად დაქირავებულთა დასაშვები რიცხოვნობა - 5-5 დაქირავებული.

⁶⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

⁶⁵ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 იანვრის №01 დადგენილება.

⁶⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქცია“, მუხლი 5; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 6, პუნქტი 7.

დასკვნა

გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძველად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 58.5 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

2.5.5 საინფორმაციო მომსახურების შესყიდვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს უფლებამოსილების განხორციელებისთვის დასაფინანსებელი გადასახდელების მიმართულებებს.⁶⁷ მუნიციპალიტეტი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაცია, ვალდებულია უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა.⁶⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა 40.2 ათასი ლარი დახარჯა სხვადასხვა სახის მომსახურების შესასყიდად, როგორიცაა, ყოველთვიური ადგილობრივი საზოგადოებრივი გაზეთის გამოშვება, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის შესახებ ინფორმაციისა და ინტერვიუს მომზადება და განთავსება წიგნ-კატალოგში – „ფაქტები – საქართველოს რეგიონები“, ასევე სხვადასხვა ვებგვერდსა და გაზეთში საინფორმაციო-სარეკლამო სახის ინფორმაციის განთავსება (იხ. დანართი №2).

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ვებგვერდი და სოციალური ქსელი, რომლებიც ინფორმაციის გავრცელების და მიღების მნიშვნელოვანი წყაროა. შესაბამისად, სხვადასხვა სახის რეკლამის და ინფორმაციის განთავსება ინტერნეტში უფრო მოსახერხებელი, გაცილებით იაფი, სწრაფი და გრძელვადიანია, ვიდრე სხვა სარეკლამო-საინფორმაციო არხებში.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ დაასაბუთა კონკრეტული საინფორმაციო პროგრამების შესყიდვის საჭიროება. აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა, რამდენად აუცილებელი იყო მუნიციპალიტეტის მიერ საინფორმაციო-სარეკლამო მომსახურების შესყიდვა და იყო თუ არა დახარჯული ფულადი რესურსი მიღებული შედეგის ადეკვატური.

2.6 მუნიციპალური ქონების მართვა

2.6.1 ქონების განკარგვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ორგანოები ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებული არიან დაიცვან მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები.⁶⁹

⁶⁷ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 102.

⁶⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2.

⁶⁹ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 109, პუნქტი 2.

დასკვნა

ფაქტობრივი გარემოება: 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის სარგებლობის უფლებით გაცემული ჰქონდა ერთი ობიექტი,⁷⁰ საიდანაც მისაღები შემოსავალი შეადგენდა 59.1 ათას ლარს. მერიამ ვერ უზრუნველყო იჯარით გაცემული ქონების სათანადო ადმინისტრირება. შედეგად, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოიჯარეს ერიცხებოდა დავალიანება 14.0 ათასი ლარი. გარდა ამისა, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, მერიამ მოიჯარეს არ დაარიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, ჯამში – 5.6 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის სექტემბერში მოიჯარემ საჯარო სკოლასთან გააფორმა ქვეიჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ქვემოიჯარეს დაეკისრა ყოველთვიურად 500 ლარის გადახდის ვალდებულება.⁷¹ მიუხედავად იმისა, რომ მოიჯარეს მერიის მიმართ ერიცხებოდა საიჯარო დავალიანება, ხოლო ქვეიჯარის სახით გაუჩნდა დამატებითი შემოსავლის წყარო, მერიამ მოიჯარე გაათავისუფლა საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისგან. მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა ამგვარი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი.

ქონებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად და დროულად მობილიზება ადგილობრივ ბიუჯეტში და ამასთანავე მიიღო საკუთარი ინტერესების საზიანო გადაწყვეტილება მოიჯარისათვის დაუსაბუთებელი შეღავათის დაწესების სახით. შედეგად, იჯარით გაცემული ქონებიდან მუნიციპალიტეტს არ მიუღია სულ 19.6 ათასი ლარის შემოსავალი.⁷² მერიამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები გადაუხდელი საიჯარო ქირისა და დარიცხული საურავის ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზების მიზნით.

2.7 იურიდიული პირების მართვა

2.7.1 მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში (ერთეულში) და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში, რაც უზრუნველყოფს ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას. დაწესებულების ხელმძღვანელი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დაკისრებული მოვალეობის ეფექტიანად შესასრულებლად შეიმუშავებს და აყალიბებს ოპტიმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას.⁷³

საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს, ეკავოს სხვა თანამდებობა რომელიმე საჯარო დაწესებულებაში ან კერძო სამართლის იურიდიულ პირში.⁷⁴

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო მოსამსახურე არის პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.⁷⁵

⁷⁰ საკადასტრო კოდი 87.04.24.133.

⁷¹ მოიჯარემ 2020-2021 წლებში მიიღო 8.0 ათასი ლარის შემოსავალი საიჯარო ქირის სახით.

⁷² 2022 წლის იანვარში მერიასა და მოიჯარეს შორის ხელშეკრულება შეწყდა.

⁷³ საქართველოს კანონი „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი, პუნქტი 2; მუხლი 8, პუნქტი 1, „ვ“ ქვეპუნქტი.

⁷⁴ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ მუხლი 13, პუნქტი 2.

⁷⁵ საქართველო კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 3, „დ“ პუნქტი.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა მის მიერ დაფუძნებული 14 ა(ა)იპ.⁷⁶ მათზე გაცემულმა სუბსიდიის ოდენობამ სულ 3,982.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების 20%-ზე მეტია. 2020 წელს ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 656 პირი, მათ შორის, 124 – შრომითი ხელშეკრულებით. 2021 წელს დასაქმებული იყო 662 პირი, მათ შორის, 128 – შრომითი ხელშეკრულებით. სუბსიდიის ძირითადი ნაწილი, 87% დაიხარჯა დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურებაზე. აღნიშნულ მაჩვენებელს თუ დავუმატებთ მერიასა და საკრებულოში დასაქმებულთა რიცხოვნობას, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციებში დასაქმებულია, საშუალოდ, 910-930 პირი. ლენტეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული რიცხოვნობის (4.0 ათასი პირი) გათვალისწინებით, აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (23%).

მუნიციპალიტეტის საქმიანობა მის მიერ დაფუძნებული სუბიექტების მართვის კუთხით, მიმდინარეობდა სისტემური ხარვეზებით, კერძოდ:

- დაფუძნებულ სუბიექტებს არ აქვთ სათანადო ფუნქციური დატვირთვა, მაგალითად:
 - ა(ა)იპ – ლენტეხის თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრში 2020-2021 წლებში დასაქმებული იყო 62 თანამშრომელი, მათ შორის, 31 – შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 380.7 ათასი ლარი. დებულების თანახმად, დაწესებულების ფუნქციებს მიეკუთვნება მოსახლეობის ინფორმირება თემებში მიმდინარე პროექტების შესახებ, მოსახლეობის ხელშეწყობა ბიუჯეტის საჯარო განხილვებში მონაწილეობის მისაღებად, კონტროლი სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებზე და სხვ. მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ-ის მიერ გაწეული საქმიანობის დასადასტურებლად რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულება ვერ წარმოგვიდგინა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერს ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ჰყავს წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ იმავე ფუნქციების შესრულებას, რაც ა(ა)იპ-ის დებულებითაა განსაზღვრული.
 - ა(ა)იპ – ლენტეხის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი დებულების თანახმად, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების, გარემოს დაცვის აგრარული და ეკოლოგიური სტაბილურობის რეგულირებას. ორგანიზაციაში 2020-2021 წლებში დასაქმებული იყო 32 თანამშრომელი, მათ შორის, 23 – შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული. შრომის ანაზღაურებაზე სულ გაწეულია 209.1 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ-ის მიერ გაწეული საქმიანობის დასადასტურებლად რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულება ვერ წარმოადგინა.
- დაფუძნებული სუბიექტების მართვის პროცესში სახსრები არაეკონომიურად გამოიყენება, მაგალითად:

⁷⁶ 2022 წელს გაუქმდა ა(ა)იპ – სანტარული ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა.

- ა(ა)იპ – ტურიზმის განვითარების ცენტრი „ლაილა“ დებულების თანხმად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში ტურიზმის ხელშეწყობას, კერძო სექტორის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობას, კულტურული მემკვიდრეობის მოძიებას, აღწერასა და კვლევას. ა(ა)იპ-ში დასაქმებულია 38 თანამშრომელი, მათ შორის 29 – შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული. სულ შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 250.6 ათასი ლარი. ცენტრის მიერ 2020-2021 წლებში მოკვლეულია რამდენიმე სამთო საფეხმავლო ბილიკი,⁷⁷ თუმცა მარშრუტები არ არის მარკირებული და დატანილი ტურისტულ რუკაზე. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, აღნიშნული საქმიანობის შესასრულებლად, რამდენად მიზანშეწონილია 38 თანამშრომლის დაქირავება.
- ა(ა)იპ – ლენტეხის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში შედის 3 ფოლკლორული ანსამბლი, სოფლების: ნანარისა და ხელედის კულტურის სახლები, ლენტეხის კულტურის ცენტრი, სამუსიკო და სამხატვრო სკოლა, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით ირკვევა, რომ 8 სასოფლო კლუბიდან, მხოლოდ 2 მათგანში⁷⁸ ფუნქციონირებს სიმღერისა და ცეკვის წრე, დანარჩენ 6 სასოფლო კლუბში არ არის წრეები და თანამშრომლები ძირითადად ითავსებენ შენობის მოვლა-პატრონობის ფუნქციებს. აღსანიშნავია, რომ 2 სასოფლო კლუბის შენობა⁷⁹ ამორტიზებულია. სოფლის კლუბებში სულ დასაქმებულია 20 პირი და მათზე შრომის ანაზღაურების სახით 2020-2021 წლებში გაწეულია 47.4 ათასი ლარის ხარჯი. მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებს 13 სხვადასხვა წრე. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2020 წლიდან 2021 წლის აპრილამდე საჭირო ფართი არ გააჩნდათ შესაბამისად, არ ფუნქციონირებდა არც ერთი წრე. 2021 წლის მაისიდან ფუნქციონირება დაიწყო მხოლოდ სამმა წრემ. ცენტრში სულ დასაქმებულია 23 თანამშრომელი, რომელთა შრომის ანაზღაურება 2020-2021 წლებში შეადგენდა 134.3 ათასი ლარს.
- დაფუძნებულ სუბიექტებში დასაქმებულთა რაოდენობა არ არის ოპტიმიზებული, მაგალითად:
 - 2020-2021 წლებში გამოვლინდა, რომ 13-15 პირი ერთდროულად იყო დასაქმებული ორ ორგანიზაციაში, მათ შორის, დასაქმებულ პირებს ეკავათ დირექტორის, დირექტორის მოადგილის, გამგის და სხვა პოზიცია. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო შესაფერისი და საკმარისი რწმუნება, რამდენად მიზანშეწონილი და ეფექტიანია ერთი და იმავე პირების ერთდროულად დასაქმება სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში. მონაცემები წარმოდგენილია დანართ №3-ში.
 - 2020 წელს დასაქმებული – 2 და 2021 წელს დასაქმებული 3 საჯარო მოსამსახურე დამატებით მუშაობდა ა(ა)იპ-ში. აღნიშნული კანონმდებლობის დარღვევაა. შესაბამისი მონაცემები წარმოდგენილია დანართ №4-ში.

⁷⁷ 2020 წელს - 6, ხოლო 2021 წელს - 4 ბილიკი.

⁷⁸ სოფლების: ქახუნდერის და სასაშის სასოფლო კლუბები.

⁷⁹ სოფლების: მელეს და ჩიხარეშის სასოფლო კლუბები.

დასკვნა

იურიდიული პირები ვერ უზრუნველყოფენ განსაზღვრული მიზნების მიღწევას და ფინანსური რესურსების მიზანშეწონილ ხარჯვას. მუნიციპალიტეტში დანერგილმა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო ორგანიზაციის საქმიანობაში არსებული ხარვეზების დროული გამოვლენა და შეუსაბამობების აღმოფხვრა/პრევენცია. მუნიციპალიტეტი იურიდიულ პირებს აფინანსებდა ისე, რომ არ ჰქონდა სათანადო რწმუნება, რამდენად ეფექტიანი იყო მათი საქმიანობა და შეესაბამებოდა თუ არა განსაზღვრულ მიზნებს. აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილია რამდენიმე მაგალითი, ა(ა)იპ/შპს-ებში კადრების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ. გარდა ზემოთ აღნიშნული მაგალითებისა, შესაძლოა არსებობდეს სხვა მსგავსი შემთხვევებიც, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ/შპს-ებში კადრების მართვასა და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებული სისტემური ხარვეზების შესახებ.

რეკომენდაცია №10

მერიამ, საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი და ეკონომიური განკარგვის პრინციპებს. სტრატეგიის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში მერიამ შეაფასოს სუბიექტების საქმიანობის მიმართულებები და სარგებლიანობა; ასევე შეისწავლოს ორგანიზაციებში არსებული საკადრო პოლიტიკა, დასაქმებულთა ფუნქციონირების განსაზღვრისა და რეალური საჭიროების მხრივ და უზრუნველყოს დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს იურიდიული პირების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

2.8 მმართველობითი გადაწყვეტილებები

2.8.1 საბიუჯეტო რესურსების ხარჯვა დამტკიცებულ ასიგნებებს ზემოთ

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესი 2020-2021 წლებში მიმდინარეობდა სისტემური და ყოვლისმომცველი ხარვეზებით. კერძოდ, არ არის დაცული ბიუჯეტის პროექტის მომზადების, დაზუსტების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის პროცედურები. შეუსაბამობები გამოვლინდა შემდეგი მიმართულებებით:

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შესაბამისი დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ზევით გადახდაზე ვალდებულების აღება დაუშვებელია.⁸⁰ ასიგნება საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილებაა.⁸¹

ფაქტობრივი გარემოება: წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის გადასახდელებში ხარჯების ჯამურმა მაჩვენებელმა, შესაბამისად, 15%-ით და 23%-ით გადააჭარბა გეგმით განსაზღვრულ პარამეტრებს. შესაბამისად, მერია გადახდის ვალდებულებებს იღებდა და თანხებს სისტემატურად ხარჯავდა დამტკიცებული/დაზუსტებული ბიუჯეტების პარამეტრების შეუსაბამოდ. აღნიშნული გარემოება არღვევს მოქმედ კანონმდებლობას და კრიტიკულად არ შეესაბამება საბიუჯეტო პრინციპებს. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული საბიუჯეტო მუხლით დახარჯულია დაგეგმილზე 36-ჯერ მეტი თანხა. ინფორმაცია ხარჯების შესრულების შესახებ მოცემულია ცხრილში №2.

⁸⁰ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 18.

⁸¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 6, „ღ“ ქვეპუნქტი.

ცხრილი №2. ბიუჯეტის ხარჯების შესრულება 2020-2021 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წელი			2021 წელი		
	გეგმა (მაცნე)	საკასო (ხაზინა)	შესრუ ლების %	გეგმა (მაცნე)	საკასო (ხაზინა)	შესრუ ლების %
ხარჯები	4,317.7	4,946.2	115%	4,681.8	5,744.6	123%
შრომის	1,319.0	1,284.5	97%	1,314.6	1,285.0	98%
ანაზღაურება						
საქონელი და მომსახურება	914.1	996.7	109%	1,097.7	1,931.6	176%
სუბსიდია	1,900.3	1,913.1	101%	2,060.2	2,065.1	100%
გრანტები	0	3.9	-	0	0	-
სოციალური უზრუნველყოფა	149.6	129.8	87%	200.9	157.9	79%
სხვა ხარჯები	34.7	618.3	1782%	8.4	305.1	3632%

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2020-2021 წლებში ცვლილებები შეტანილია რამდენჯერმე, მათ შორის, დეკემბერში. მუნიციპალიტეტის მერია ვალდებული იყო დაეხსენებინა საბიუჯეტო პარამეტრები და გადასახდელების ხარჯვა განეხორციელებინა დამტკიცებული ასიგნებების მიხედვით.

2.8.2 ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.⁸²

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა მოიცავდეს გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს; მუნიციპალიტეტის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს და სხვ.⁸³

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მოსამზადებლად შესაბამისი საფინანსო ორგანო საბიუჯეტო ორგანიზაციებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.⁸⁴

⁸² საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 76, პირველი და მე-3 პუნქტები.

⁸³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 76, პუნქტი 4.

⁸⁴ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77, პუნქტი 3.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი მიმდინარეობდა შემდეგი ნაკლოვანებებით:

- მუნიციპალიტეტს 2020-2021 წლებისათვის არ გამოუცია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელშიც განსაზღვრული უნდა ყოფილიყო მომავალი წლის ბიუჯეტის ფარგლებში პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის წესა და წარდგენის ვადები;
- მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2021 წლებისათვის შემუშავებული პრიორიტეტების დოკუმენტი არასრულყოფილია და არ მოიცავს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ინფორმაციას. მათ შორის: გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს; მუნიციპალიტეტის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს; დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის: მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებს/ქვეპროგრამებს; მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;
- 2020-2021 წლების ბიუჯეტების პროექტის მომზადების მიზნით მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის არ გაუგზავნია საბიუჯეტო განაცხადის ფორმები ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაარღვია საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2.8.3 ბიუჯეტის ანგარიშგების ხარვეზები

კრიტერიუმი: ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.⁸⁵

მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა, წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.⁸⁶

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს პროგრამების მიხედვით

⁸⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 85.

⁸⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 86.

დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს.⁸⁷

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტი მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტს.⁸⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტის შესრულების პროცესი მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით:

- 2020-2021 წლებში მერიას ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა ნაზარდი ჯამით არ წარუდგენია საკრებულოში. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაარღვია საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- მერიის საფინანსო ორგანომ 2020 და 2021 წლების ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშები საკრებულოში წარადგინა დაგვიანებით, შესაბამისად, 2021 წლის 24 მარტს და 2022 წლის 21 მარტს;
- მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების შესწავლისას გამოვლინდა, რომ საკრებულოში წარდგენილი ბიუჯეტების შესრულების წლიურ ანგარიშებში ასახული მაჩვენებლები თანხობრივად განსხვავდება ხაზინის ანალოგიური მონაცემებისგან.

ცხრილი №3. სხვაობები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშსა და ხაზინის მონაცემებს შორის (ათასი ლარი)

წელი	დასახელება	ბიუჯეტის შესრულება	ხაზინა	სხვაობა
2020 წელი	გადასახდელები	9,093.3	9,101.1	(7.8)
	ხარჯები	4,939.4	4,946.3	(6.9)
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,153.9	4,154.8	(0.9)
2021 წელი	შემოსულობები	12,035.9	12,038.4	(2.5)
	შემოსავლები	12,035.0	12,037.5	(2.5)
	გადასახდელები	11,649.8	11,655.3	(5.5)
	ხარჯები	4,604.9	5,744.6	(1,139.7)
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,044.9	5,910.7	1,134.2

- 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის თანახმად, „კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამა შესრულდა მხოლოდ 11%-ით, ხოლო „წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის“ პროგრამა საერთოდ არ შესრულებულა და სხვ. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები არ მოიცავს პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას;
- 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტს „კადრების მომზადება-გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირების“ მუხლით უნდა გაეხარჯა 25.7

⁸⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 87, „დ“ ქვეპუნქტი.

⁸⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 101, პუნქტი 2.

ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით, სულ დახარჯულია 2.7 ათასი ლარი, მთლიანი სავალდებულო თანხის მხოლოდ 11%.

2.8.4 დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსება საკუთარი შემოსავლებიდან

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.⁸⁹ ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა უნდა მოითხოვოს შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსი.⁹⁰

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მიზნობრივი ტრანსფერის სახით თითოეულ წელს გამოეყო 105.0 ათასი ლარი.⁹¹ გარდა მიზნობრივი ტრანსფერისა, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა გამოიყენა საკუთარი ფინანსური რესურსი დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსების მიზნით. კერძოდ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური დაფინანსებულია 10.1 ათასი ლარით და ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური – 57.2 ათასი ლარით. აღნიშნული თანხები ძირითადად გამოყენებულია შრომის ანაზღაურების, კომუნალური, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯების დაფინანსების მიზნით, რისი დაგეგმვა და გაანგარიშებაც მუნიციპალიტეტს შეეძლო წინასწარ. მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია რაიმე სახის ღონისძიება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მისაღებად. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2020-2021 წლებში მერს არ მოუთხოვია დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ტრანსფერის მოცულობის გაზრდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს არ უმსჯელიათ, საქმიანობა განხორციელებინათ დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.

დასკვნა

მუნიციპალიტეტი 2020-2021 წლებში საბიუჯეტო პროცესის ძირითად ეტაპებს წარმართავდა არსებითი ხარვეზებით, რამაც საბიუჯეტო პრინციპებთან შეუთავსებელი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ხარვეზები გამოიწვია. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ორგანოების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების კვალიფიციურ ერთობლიობას.

2.8.5 შესყიდვების გეგმის ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და სისტემაში რეგისტრირებული გეგმის მიხედვით.⁹²

შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია, შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში, ხელშეკრულების მიმდინარეობის კონკრეტულ ეტაპს მიაწიოს კანონმდებლობით

⁸⁹ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 17, პუნქტი 2.

⁹⁰ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, მუხლი 79, პუნქტი 2.

⁹¹ ტრანსფერიდან დაფინანსებულია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური, ა(ა)იპ - საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური.

⁹² „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება, მუხლი 4, პუნქტი 1.

განსაზღვრული შესაბამისი სტატუსი: მიმდინარე, შესრულებული ან შეუსრულებელი ხელშეკრულება.⁹³

ფაქტობრივი გარემოება: შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე⁹⁴ ატვირთული და წინასწარ დამტკიცებული შესყიდვების გეგმის მიხედვით, მუნიციპალიტეტს 2020 წელს უნდა შეესყიდა – 2,281.3 ათასი ლარის, ხოლო 2021 წელს – 7,763.2 ათასი ლარის ღირებულების საქონელი/სამუშაო/მომსახურება. მუნიციპალიტეტის, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ანგარიშგების კუთხით განხორციელებულ საქმიანობაში, მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოვლინდა. კერძოდ, შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებამდე მუნიციპალიტეტს არ დაუკორექტირებია შესყიდვების წლიურ გეგმაში მითითებული მონაცემები:

- 2020 წელს 14 კლასიფიკატორის კოდის (CPV) შემთხვევაში, 3,928.0 ათასი ლარით გადააჭარბა შესყიდვების წლიური გეგმით დამტკიცებულ პარამეტრებს, ხოლო 2021 წელს 10 კლასიფიკატორის კოდის (CPV) შემთხვევაში – 2,402.0 ათასი ლარით.

გარდა ამისა, აუდიტის მიმდინარეობისას⁹⁵ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არასწორად იყო მითითებული ხელშეკრულებების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, 2020-2021 წლებში განხორციელებული 508 შესყიდვიდან, 130 შემთხვევაში არ იყო შეცვლილი ხელშეკრულების მიმდინარეობის სტატუსი.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო განხორციელებული შესყიდვების წლიურ გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა, შესყიდვების მნიშვნელოვანი ნაწილი არ შეესაბამება შესყიდვების დამტკიცებული გეგმის პარამეტრებს და ჩატარებულია წინასწარი დაგეგმვის გარეშე.

რეკომენდაცია №11

მერიამ და საკრებულომ კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში დაგეგმონ საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების კომპლექსური ღონისძიებები და ამ მიზნით მიმართონ შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის მინიმუმ 1%. აღნიშნული ხელს შეუწყობს თვითმმართველობის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ხარისხიანად შესრულებას.

2.8.6 ა(ა)იპ – საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტებმა უნდა დანერგონ ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁹⁶

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტმა მემორანდუმი გააფორმა ა(ა)იპ – საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან, კატასტროფების რისკის შემცირების საქმიანობებისათვის. პროექტის მიზანია, საგანგებო სიტუაციის დროს, საზოგადოების მისიისა და ჰუმანიტარული საქმიანობის სფეროში ხელისუფლების დამხმარე როლის ეფექტიანად შესრულება. მემორანდუმის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა ხარჯი გასწია 35.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ

⁹³ „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება, მუხლი 2, პუნქტი 1, „ე“-„ე“ ქვეპუნქტები.

⁹⁴ <https://tenders.procurement.gov.ge/>

⁹⁵ 2022 წლის სექტემბერი.

⁹⁶ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

დასკვნა

შორის, 10.6 ათასი ლარით დაფინანსებულია პროგრამული ხარჯები, ხოლო 24.4 ათასი ლარი გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე. მემორანდუმის მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება და მონიტორინგი გაუწიოს თანხების ხარჯვას.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მუნიციპალიტეტი პრაქტიკულად არ ატარებს მემორანდუმით გათვალისწინებულ მონიტორინგს პროგრამით დაგეგმილი ამოცანების შესრულებასა და დახარჯული თანხების მიზნობრიობაზე. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები პროგრამის განხორციელების პროცესში ჩატარებული ღონისძიებებისა და კონკრეტული შედეგების შესახებ.

მერამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, თუ რა შედეგი მიიღო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან გაფორმებული მემორანდუმით. შედეგად, არ შეუსწავლია გახარჯული თანხების ეფექტიანობა და ღონისძიებების შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან.

2.8.7 საკონსულტაციო მომსახურების დაუსაბუთებელი შესყიდვა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად შეისყიდის საქონელს, მომსახურებასა და სამუშაოებს.⁹⁷ სახელმწიფო შესყიდვების მიზანია ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის დაცვა.⁹⁸ მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობები, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.⁹⁹ მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტი მიმართოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.¹⁰⁰

ფაქტობრივი გარემოება: 2020 წელს მუნიციპალიტეტმა მემორანდუმში გააფორმა ა(ა)იპ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციასთან. მუნიციპალიტეტმა მემორანდუმის ფარგლებში 2020-2021 წლებში ასოციაციას გადაუხადა 10.0 ათასი ლარი.¹⁰¹

აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა ინფორმაცია ასოციაციის მიერ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტისთვის გაწეული მომსახურების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციით, მემორანდუმის ფარგლებში:

- მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებმა მონაწილეობა მიიღეს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სწავლებებში;
- მუნიციპალიტეტს გაეწია დახმარება ბიუჯეტის შედგენის, ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, თუ რა აუცილებლობით იყო განპირობებული მემორანდუმის გაფორმება. მუნიციპალიტეტი ვალდებულია საქმიანობისას გამოიყენოს საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო დაბალი კვალიფიკაციის

⁹⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3. პუნქტი 1, „ჟ“ და „ს“ ქვეპუნქტები.

⁹⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2.

⁹⁹ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №19 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის მერიის დებულება“, მუხლი 16, პუნქტი 3. „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁰ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 101, პუნქტი 2.

¹⁰¹ 2020 წელს - 5.0 ათასი ლარი. 2021 წელს - 5.0 ათასი ლარი.

დასკვნა

შემთხვევაში დაგეგმოს მოხელეების გადამზადება; ამასთანავე, მოხელეებისთვის პროფესიული განვითარების ტრენინგების საჭიროებისას - მომსახურება შეისყიდოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად დახარჯა 10.0 ათასი ლარი და არ შეუსწავლია, რა აქტივობები განხორციელდა დაგეგმილი მიზნების მისაღწევად და რა შედეგი მიიღო თვითმმართველმა ერთეულმა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი 10.0 ათასი ლარი არარაციონალური ხარჯია.

2.8.8 დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზები

კრიტერიუმი: ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.¹⁰² მუნიციპალიტეტში საკრებულოს დადგენილების საფუძველზე დაწესებულია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი.¹⁰³ დადგენილების მიხედვით, დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელია ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნის ნარჩენებს.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებს მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2020-2021 წლებში ფიზიკური პირებიდან დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება არ ხორციელდებოდა. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, მერიას სხვადასხვა იურიდიულ პირთან გაფორმებული აქვს 24 ხელშეკრულება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტი არ ფლობს გადასახადის გადამხდელთა სრულ ბაზას. 2022 წლის იანვრისათვის გადაუხდელი დასუფთავების მოსაკრებელი 5.3 ათას ლარს შეადგენს.

დასკვნა

მერია ვერ უზრუნველყოფს საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადოდ მობილიზებას. შედეგად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ იღებს კუთვნილ შემოსავალს.

რეკომენდაცია №12

მერიამ საკრებულოსთან ერთად იმსჯელოს გადამხდელთა ბაზის ფორმირებისა და დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმილი მაჩვენებლის მობილიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე, მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც უზრუნველყოფს მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებლის გაზრდას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და კუთვნილი შემოსავლების მიღებას.

2.8.9 ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,¹⁰⁴ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის

¹⁰² საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი 1.

¹⁰³ საკრებულოს 2015 წლის 31 მარტის დადგენილება №11.

¹⁰⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-2 და მე-3 მუხლები.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტს 2020-2021 წლებში არ ჩაუტარებია აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შესაბამისად, არ განხორციელებულა აქტივების, ვალდებულებებისა და ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან შედარება; ასევე არ ჩატარებულა შემოწმება, ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის/დაცვის წესებისა და პირობების და არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონება ჩაბარებული არ არის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე. შესაბამისად, არსებობს რისკი რომ დაიკარგოს ან/და დაზიანდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივები. აღნიშნული რისკი დადასტურდა შემდეგი გარემოებით:

ლენტეხის მუნიციპალიტეტსა და მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მუნიციპალიტეტს გადაეცა ექსკავატორ-მტვირთავი, ღირებულებით – 140.4 ათასი ლარი, რომელიც 2015 წელს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცა შპს „გზა 2015“-ს.¹⁰⁵ მერიის დროებითი კომისიის 2022 წლის სექტემბერს ოქმით ირკვევა, რომ ტექნიკა განკომპლექტებულია, არ ექვემდებარება აღდგენას და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისია;¹⁰⁶ მერიამ ვერ უზრუნველყო ძვირადღირებული ტექნიკის შესაბამისი მოვლა-პატრონობა. ტექნიკა უფუნქციოა და მუნიციპალიტეტი ვერ იყენებს დანიშნულებისამებრ. მერიას ასევე არ განუხორციელებია კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი ღონისძიებები.

დასკვნა

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა დაარღვია სამართლებრივი აქტის მოთხოვნები ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ. შედეგად, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუძენველი დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, ასევე დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

რეკომენდაცია №13

მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

2.9 შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია, არსებობდეს სისტემის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შიდა აუდიტის სამსახური,¹⁰⁷ რომლის მიზანია ორგანიზაციაში არსებული

¹⁰⁵ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს.

¹⁰⁶ მუნიციპალიტეტის სასახლო დავალიანება ჯარიმების გათვალისწინებით, შეადგენს 108.0 ათას ლარს.

¹⁰⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 2, „ზ“ ქვეპუნქტი.

სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება. სამსახურმა უნდა შეაფასოს, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. შიდა აუდიტის სამსახური ადგენს შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშს, გასცემს რეკომენდაციებს გამოვლენილი მიგნებების შესახებ, ხოლო შემდგომში ახორციელებს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

გამოვლენილი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მერიის მიერ დაფუძნებული ხუთი იურიდიული პირის შესაბამისობის აუდიტი.¹⁰⁸ სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად, ძირითადად გამოვლენილია სხვადასხვა სახის კონკრეტული დარღვევა-ნაკლოვანება, რომლის გამოსწორების მიზნით გაცემულია რეკომენდაციები. სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი შესრულებულია, ნაწილზე კი რეაგირება საერთოდ არ ყოფილა.

აუდიტის პერიოდში შიდა აუდიტის სამსახურს შესწავლილი არ აქვს მერიის სამსახურების საქმიანობა, ასევე არ განუხორციელებია წინასწარი შესწავლისა და რისკის შეფასების სათანადო პროცედურები, რომელთა საფუძველზე სამსახურს უნდა გამოეცლინა სისტემური დარღვევა-ნაკლოვანებები და შეემუშავებინა ამ ხარვეზების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები.

აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის შედეგად, უმეტეს შემთხვევაში ვერ გამოვლინდა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ხარვეზები, რომლებიც აღწერილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტის ანგარიშში.

დასკვნა

შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუსწავლია ორგანიზაციაში არსებული პროცესები და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოვლენია სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით, არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები. შიდა აუდიტის სამსახურმა ვერ უზრუნველყო მერიის საქმიანობის გაუმჯობესება, ფინანსების რაციონალური მართვისა და ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

რეკომენდაცია №14

მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარად წარმართვა, რომ მოხდეს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლა და შეფასება, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენა. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

¹⁰⁸ 2020 წელი - ა(ა)იპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების ხელშეწყობის ღონისძიებები; 2021 წელი - ა(ა)იპ - ტურიზმის განვითარების ცენტრი „ლაილა“, ა(ა)იპ - გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი, ა(ა)იპ - ლენტეხის სასპორტო სკოლების გაერთიანება, ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურება და კეთილმოწყობა.

**2.10 წინა პერიოდში
ჩატარებული აუდიტის
შედეგად გამოვლენილი
დარღვევა-ნაკლოვანებების
მდგომარეობა**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2018 წელს ჩაატარა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა არ განახორციელა სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რომელიც აღწერილია აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

- გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელთა საგარანტიო ვადა ამოწურული არ იყო;
- შესყიდვების მართვაში კვლავ არსებობს ხარვეზები;
- მუნიციპალიტეტმა გარკვეული სამშენებლო სამუშაოები შეისყიდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ობიექტები ჩაბარებულია და ანგარიშსწორება განხორციელებულია ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე;
- არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით;
- ხარვეზებია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვასა და დაფინანსებაში;
- სატრანსპორტო საშუალებების საწვავისა და მოვლა-შენახვისთვის გამოყოფილი თანხები იხარჯება არარაციონალურად;
- შრომითი ხელშეკრულებით დაქირავებულთა რაოდენობა აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ნორმას;
- საბიუჯეტო პროცესის მართვაში კვლავ არსებობს ხარვეზები;
- შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუსწავლია ორგანიზაციაში არსებული პროცესები და შიდა კონტროლის მექანიზმები, არ გამოუვლენია სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით არ გაუცია სათანადო რეკომენდაციები.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

აუდიტორები


ქრისტინე ეკალაძე
უფროსი აუდიტორი

თათია ამბროლაძე
უფროსი აუდიტორი

ანა ზაქარაშვილი
აუდიტორი

ქეთევან მაჩაიძე
აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა



დანართები

დანართი №1

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები (ათასი ლარი)

შესყიდვის ნომერი	ხელშეკრულების ღირებულება	მიმწოდებელი	შესრულებული სამუშაო	გამოვლენილი ხარვეზი
NAT190007938	170.5	შპს „ლომი“	შიდა სასოფლო გზებზე გზების დაპროექტება, ბეტონის გზის და სანიაღვრე არხების მოწყობა	სოფ. ხელედში გზა დაზიანებული და დამტკრებულია; სოფ. ფაყში გზაზე აღინიშნება დიდი და მცირე ზომის ბზარები; სოფ. წანაში გზას აღენიშნება დიდი და მცირე ზომის ბზარები.
NAT200012982	163.6	შპს „ჯეო-ბილდი“	სოფ. ჟახუნდერის საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოწყობა	გზას აღენიშნება ბზარები.
NAT200015535	180.5	შპს „ავტოგზა ლენტეხი 99“	სოფ. დურაშში ბეტონის საფარით საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები	გზას აღენიშნება წვრილი გრძივი ბზარები.
NAT200015561	528.8	შპს „ავტოგზა ლენტეხი 99“	სოფ. ტვიბში, მდინარე მუხრას კალაპოტის გაწმენდის და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობის სამუშაოები ¹⁰⁹	ნაპირსამაგრი ჯებირების ნაწილი დაზიანებული და დაშლილია.
NAT200013195	49.9	შპს „გამა+“	სოფ. ნაცულში მინი-სტადიონის მოწყობა	ხელოვნური საფარი ნაწილობრივ დაზიანებულია.
NAT200012208	21.8	ი/მ ზურაბ მეშველიანი	სოფ. ხელედის საჯარო სკოლის შენობის დაზიანებული კედლის რეაბილიტაცია	კედლის შიდა ნაწილი დაზიანებულია და ნესტიანია, აყრილია იატაკი, სახურავიდან ჩამოდის წყალი.
NAT210013599	102.9	შპს „ოგი“	სოფ. ჩიხარეშის სკოლის რეაბილიტაცია	დაზიანებულია კედლები და იატაკი.
NAT210015894	28.4	ი/მ ლერი ონიანი	სოფ. სასაშის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია ¹¹⁰	კედლებს აღენიშნება ბზარები, ზოგ ადგილას ჩამოყრილია ნალესი.
CMR200102477	49.4	ი/მ ხვიჩა ქურასხედიაძე	სოფ. ხოფურის ბაღის რეაბილიტაცია	კედლები დაზიანებულია, და აღენიშნება ბზარები, ბათქაში ჩამოყრილია, პლინტუსები - აყრილი.
CMR200103118	30.2	ი/მ ხვიჩა ლიპარტელიანი	სოფ. გვიმბრალის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	კედლები დაზიანებულია, და აღენიშნება ბზარები, ერთ ოთახში ლამინატი მთლიანადაა აყრილი.
CMR200103126	38.9	შპს „ლგ“	სოფლების: ჟახუნდერის, ნაცულის და შკედის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია	კედლებს აღენიშნება ბზარები, ზოგ ადგილას ჩამოყრილია ნალესი.

¹⁰⁹ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დაზიანება გამოიწვია მუნიციპალიტეტში მომხდარმა სტიქიამ. შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებული არ არის ხარვეზები გამოწვეულია მხოლოდ სტიქიის შედეგად, თუ უზარისხოდ შესრულებული სამუშაოებით.

¹¹⁰ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საჯარო სკოლაში არსებული ხარვეზები გამოსწორებულია.

CMR200104774	22.3	ი/მ ნიკოლოზ ზურაბიანი	სოფ. რცხმელურის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	კედლებს აღენიშნება ბზარები.
NAT210008826	149.7	შპს „გია კონსტრაქშენ“	სოფ. გულიდის მიმართულებით ბეტონის გზის მოწყობა	ბეტონის გზას აღენიშნება წვრილი ბზარები.
NAT210008820	148.3	შპს „გამა+“	სოფ. ყარიშის მიმართულებით ბეტონის გზისა და სანიაღვრე არხის მოწყობა	ბეტონის გზას აღენიშნება წვრილი და მსხვილი ბზარები.
NAT210008831	148.5	შპს „ავტოგზა ლენტეხი 99“	სოფ. ლასკადურაში ბეტონის გზის მოწყობა	გზას აღენიშნება წვრილი ბზარები.
NAT210009122	229.9	შპს „პირამიდა-ფ.რ.“-ს ფილიალი	სოფლებში: რცხმელურსა და ყვედრეში ბეტონის გზის .საყრდენი ბეტონის კედლების სანიაღვრე არხების და გაბიონის მოწყობა	გზას აღენიშნება ბზარები.
NAT210009776	189.3	შპს „სტარტ +“	სოფ. ფაყის მიმართულებით სავტომობილო გზის მოწყობა რკ/ბეტონის საფარით	ბეტონის გზას აღენიშნება წვრილი ბზარები.
NAT200001935	68.9	შპს „ტორნადო“	სოფლებში: საყდარი, ლეუშერი, მამი-ედიყი - შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა	გზას აღენიშნება დიდი და მცირე ზომის ბზარები და ამოტეხილია ორ ადგილას
NAT200002038	237.4	შპს „ჯთბ გოლდენ ეიჯ“	სოფლებში: ლეშაგორი, ჯახუნდერი, დევდარიანების უბანი, კერბულაში, მეხეცი, ლეკოსანდი, სასაში-ლუჯის დამაკავშირებელი გზა - შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა	გზას აღენიშნება ბზარები.
NAT200005064	153.5	შპს „გამა+“	სოფლებში: გულიდაში, ბაბილში, ყარიშში, ლასკადურაში და ახალი დასახლების უბანში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა	ბეტონის გზას აღენიშნება ბზარები
NAT200007377	128.8	შპს „გამა+“	სოფლებში: ლესემაში, წანასა და ხელედში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა	გზას აღენიშნება ბზარები. არის უსწორმასწორო და ტალღოვანი.
ჯამი:	2,841.5			

დანართი №2

2020-2021 წლებში შესყიდული სარეკლამო-საინფორმაციო მომსახურება (ათასი ლარი)

მიმწოდებელი	ხელშეკრ. გაფორმების თარიღი	შესყიდვის ობიექტი	თანხა
შპს „სვანეთი“	10.02.2021	ყოველთვიური ადგილობრივი საზოგადოებრივი გაზეთის გამოშვება (საგაზეთო მასალების მომზადება, ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება)	15.6
შპს „სვანეთი“	30.01.2020	ყოველთვიური ადგილობრივი საზოგადოებრივი გაზეთის გამოშვება (საგაზეთო მასალების მომზადება, ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება)	15.6

შპს „ახალი ამბები“	27.01.2021	დამკვეთის მიერ მოწოდებული ინფორმაციის განთავსება ვებგვერდზე: www.ipn.ge	2.2
შპს „პრაიმ თაიმ“	27.01.2021	სარეკლამო მომსახურება ვებგვერდზე: Prime.time.ge	2.3
ფ/პ ინგა ქვარცხავა	18.02.2021	მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის შესახებ ინფორმაციისა და ინტერვიუს მომზადება და განთავსება წიგნ-კატალოგში „ფაქტები - საქართველოს რეგიონები 2020“	0.5
ფ/პ ინგა ქვარცხავა	06.02.2020	მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის შესახებ ინფორმაციისა და ინტერვიუს მომზადება და განთავსება წიგნ-კატალოგში „ფაქტები - საქართველოს რეგიონები 2019“	0.5
ი/მ ნატალია ლომაძე	31.03.2021	სარეკლამო-საინფორმაციო მომსახურება გაზეთ „ახალ საქართველოში“	0.6
შპს „პირველი“	06.03.2020	სარეკლამო მომსახურება	0.8
შპს „სივრცეები“	06.03.2020	საინფორმაციო მომსახურება	1.2
შპს „თბილისელები“	20.07.2020	მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებისა და სიახლეების გასაშუქებლად ინტერვიუს მომზადების მომსახურება	0.9
ჯამი:			40.2

დანართი №3

2020-2021 წლებში ა(ა)იპ-ებში ერთდროულად დასაქმებული პირები

№	წელი	დასაქმებული ორგანიზაცია	დაკავებული თანამდებობა
1	2020-2021	ა(ა)იპ - ლენტეხის ზაგა-ზაღების გაერთიანება	გამგე
		ა(ა)იპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	უმცროსი სპეციალისტი
2	2020-2021	ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურება	მეეზოვე
		ა(ა)იპ - ლენტეხის ზაგა-ზაღების გაერთიანება	მზარეული
3	2020-2021	ა(ა)იპ - გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების აგრარული და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი	მთავარი სპეციალისტი
		ა(ა)იპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	დირექტორის მოადგილე
4	2020-2021	ა(ა)იპ - ლენტეხის თემში მოსახლეობასთან ურთიერთობის ცენტრი	მთავარი სპეციალისტი
		ა(ა)იპ - საბიბლიოთეკო გაერთიანება	სოფლის ბიბლიოთეკის გამგე
5	2020-2021	ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურება	მეეზოვე
		ა(ა)იპ - საბიბლიოთეკო გაერთიანება	ბიბლიოთეკარი
6	2020-2021	ა(ა)იპ - ლენტეხის თემში მოსახლეობასთან ურთიერთობის ცენტრი	რწმუნებულის თანაშემწე
		ა(ა)იპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	გამგე
7	2020-2021	ა(ა)იპ - საბიბლიოთეკო გაერთიანება	ბიბლიოთეკარი
		ა(ა)იპ - ლენტეხის ლ. მუსელიანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	ექსკურსიამდლოლი
8	2020-2021	ა(ა)იპ - ლენტეხის ლ. მუსელიანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	ექსკურსიამდლოლი
		ა(ა)იპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	დამლაგებელი

9	2020-2021	ა(ა)იპ - ლენტეხის ზაგა-ზაღების გაერთიანება	მუშა-მჩეხავი
		ა(ა)იპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	გამგე
10	2020	ა(ა)იპ - ლენტეხის თემში მოსახლეობასთან ურთიერთობის ცენტრი	სოფლის პროგრამების განხორციელებაზე კონტროლი და დასაგეგმი პროექტების განხილვა
		ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურება	დამხმარე მუშა
11	2020	ა(ა)იპ - ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლის ხელშეწყობა	დირექტორის მოადგილე
		ა(ა)იპ - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	მძღოლი
12	2020-2021	ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურება	მეფხოვე
		ა(ა)იპ - გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების აგრარული და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი	მთავარი სპეციალისტის დამხმარე ჩოლურის თემში
13	2020-2021	ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურება	დამხმარე მუშა
		ა(ა)იპ - ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრი	ელექტრიკოსი
14	2020-2021	ა(ა)იპ - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	სპეციალისტი
		ა(ა)იპ - სანიტარიული ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა	დირექტორი
15	2020-2021	ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე
		ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია	საბიუჯეტო სამსახურში მოწვეული სპეციალისტი

დანართი №4

2020-2021 წლებში მერია/საკრებულოსა და ა(ა)იპ-ებში ერთდროულად დასაქმებული პირები

№	წელი	დასაქმებული ორგანიზაცია	დაკავებული თანამდებობა
1	2020-2021	ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო	დამხმარე-კურიერი
		ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურება	მეფხოვე
2	2020-2021	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია	საკონკურსო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი
		ა(ა)იპ - გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების აგრარული და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი	დირექტორის მოადგილე
3	2021	ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია	საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი
		ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურება	ბუღალტერი

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38